



ლილია ზინცაძე

მუსაოთი

მუბუჩე

გუბუბუჩე

გამუჭე



ტურსაღმოსავლეთი - საერთაშორისო გეოგრაფიული განმარტება

ლილია შივციქოვა



პუბლიკაცია დაფინანსებულია Black Sea Trust - German Marshall Fund of the United States მიერ. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Black Sea Trust-ის ან მისი პარტნიორების პოზიციას.

© ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

რუსეთი ინტელექტუალური და პოლიტიკური თავსატეხია. რუსეთი გამოცანას იმ რუსებისთვისაც კი წარმოადგენს, რომლებსაც მათი ქვეყნის განვითარების ტრაექტორიის შესახებ ვერაფერი გაუგიათ. სახეზე არქაული ტიპის „ცივილიზაცია-სახელმწიფო“, რომელიც გარესამყაროსთან ადაპტაციის საუცხოო უნარებს ავლენს საკუთარი ფუნდამენტური ბუნების ცვლილების გარეშე.

არნოლდ თოინბის „გამოწვევა-პასუხი“ ცნობილი ჰიპოთეზის თანახმად ამა თუ იმ ცივილიზაციის მომავალი განვითარების გზაზე შეხვედრილი სიძნელეების გადალახვის უნართაა განპირობებული: ის ან „თვითრეორგანიზაციის“ უნარს ავლენს ან დეგრადირებს. პერსონიფიცირებული ძალაუფლების რუსულ სისტემას („სისტემა“) ასეთი უნარი არ გამოუვლენია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ „სისტემა“ გადარჩენას მოდერნიზმის დაგმობით და წარსულის განდიდებით ცდილობდა. „სისტემა“ მდგრადობას იმიტაციით, პროპაგანდით, საკუთარი თამაშის წესების გარესამყაროსთვის თავზე მოხვევით და საკუთარი გადარჩენისთვის გლობალური მასშტაბის რყევების გამოწვევის მუქარით ინარჩუნებდა. მიუხედავად ამისა, დარწმუნებით დღესაც ვერავინ ამბობს რამდენ ხანს გააგრძელებს ის არსებობას.

ეს კითხვები დღესაც პასუხგაუცემელია: შეუძლია თუ არა რუსეთს გარდაიქმნას? თუ ის მუდმივად არქაული ფორმით მუდმივი რეპროდუქციისთვისაა განწირული? როგორი დასასრული აქვს ამ გზას?

ანალიტიკური მარცხი

რუსეთს მის შესახებ მცდარი შეხედულებების ჩამოყალიბების განსაკუთრებული უნარი აქვს. ამ ასპარეზზე განსაკუთრებულ წარმატებას რუსი ანალიტიკოსები აღწევენ. თუმცა საკითხავი ის არის, თუ რატომ იმეორებენ დასავლელი ექსპერტები რეალობის ასეთ არასწორ და მცდარ შეფასებებს? ძნელია იქნება მოვიცვათ ყველა ის შეცდომა, უზუსტობა თუ ტყუილი, რომელსაც რუსი და დასავლელი ექსპერტები იმეორებენ.

რუსეთის რაობაში გარკვევის და მისი განვითარების ვექტორის დანახვის წარუმატებელი ცდები განსაკუთრებით მომრავლდა ბოლო 25 წლის განმავლობაში. ამ კუთხით ცალკე აღნიშვნის ღირსია საბჭოეთის მკვლევართა შეუძლებლობა დაენახათ ამ ქვეყნის დაშლის სიმპტომები სანამ საბჭოთა კავშირის არსებობის საკითხი პირდაპირ არ დადგა დღის წესრიგში. სეიმურ მარტინ ლიპსეტი მის წიგნში „კომუნისმის მარცხის წინასწარმეტყველებები“ შეეცადა უკეთესად გარკვეულიყო იმ მიზეზებში, რომლებმაც ასეთი მასშტაბური მოვლენების წინასწარი განჭვრეტა გაართულა და რატომ ითვლებოდა საბჭოთა სისტემა ასე მტკიცედ. ის წერდა: „ექსპერტები ყურადღების დიდ ნაწილს იმ ინსტიტუტებსა და ღირებულებებს უთმობდნენ, რომლებიც საზოგადოებისა და პოლიტიკური სისტემის სტაბილურობას განაპირობებდნენ. ამის ნაცვლად ყურნალობისთვის, პოლიტიკოსებსა და ანალიტიკოსებს ყურადღება იმ დისფუნქციურ ასპექტებზე, სტრუქტურებზე და ქცევაზე უნდა გაემახვილებინათ, რომლებსაც კრიზისის გამოწვევა შეეძლოთ.“¹

თანამედროვე რუსეთით დაინტერესებულმა ექსპერტებმა ვერ მოახერხეს „სოვეტოლოგიის“ მიერ დაშვებული შეცდომების გათვალისწინება და გააგრძელეს მითოლოგიის გამდიდრება. ამროვნების სხვადასხვა

¹ Seymour Martin Lipset & Gyorgy Bence - Anticipations of the failure of communism (1994). Theory and Society 23 (2), (1994).

სკოლის (კომპარატისტები, ეკონომიკური და ისტორიული დეტერმინიზმი, ლიბერალური ინტერნაციონალიზმი, ნეოკონსერვატიზმი, რეალიზმი) წარმომადგენლებმა დახვეწილი კონცეფციებისა და მეთოდოლოგიების გამოყენების მიუხედავად ვერ მოახერხეს რუსეთის ტრანსფორმაციის წინასწარ განჭვრეტა ან ახსნა. ვინ იწინასწარმეტყველებდა, რომ ევროპის საბჭოს წევრი, გაშინგტონთან „გადატვირთვის“ პოლიტიკის პარტნიორი, ევროკავშირის „პარტნიორობა მოდერნიზაციისთვის“ მონაწილე ქვეყანა ჰელსინკის შეთანხმების პრინციპებს მოულოდნელად დაარღვევდა და მსოფლიოს წინაშე ანტაგონისტური და რევიზიონისტული დღის წესრიგით წარსდგებოდა? ძნელი მისახვედრია რას შეიძლება ფიქრობდნენ დღეს რუსეთის დემოკრატიამ, ელცინის ლიბერალურ რევოლუციამ, მოსკოვის დასავლეთთან დაახლოებაზე, რუსეთ-ამერიკის პარტნიორობაზე, მედვედევის რეფორმისტულ ამბიციებზე და პუტინის მოდერნიზაციულ მმართველობაზე დაწერილი უამრავი წიგნისა თუ ესეს ავტორები. რამდენად ზუსტია დღეს მათი ანალიზი, რომელიც კრემლის დასავლეთთან კონფრონტაციას, მემობელ ქვეყნებზე თავდასხმისადმი და მისგან გამოწვეული იზოლაციისადმი მზაობას მიუთითებს? რატომ ვერ ხვდებიან ისინი, რომ კრემლის თვითგადარჩენის სტრატეგია უფრო მოქნილია? თავმდაბლობა ბევრ ჩვენთაგანს გვმართებს - შექმნილ მითებსა და ილუზიებზე პასუხისმგებლობას არავინ უნდა გაექცეს.

როგორც ისაია ბერლინი წერდა, „გაგება ქცევის მოდელის შეცნობა“. ჩვენ ვერ შევძელით რუსეთის ქცევის მოდელის შეცნობა. ექსპერტებმა და პოლიტიკოსებმა ათწლეულების განმავლობაში ვერ მოახერხეს რუსეთის რეალობის გააზრება. ყოველ ჯერზე მოსკოვის ქცევა მოულოდნელი იყო. რუსეთის ქმედებებისადმი ყველაზე ხშირი და ფართოდ გავრცელებული რეაქცია გაკვირვება იყო.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გაგვირკვევია რა შეიძლება მოუტანოს მსოფლიოს რუსეთის - ნავთობით მდიდარი ბირთვული სახელმწიფოს, ნახევრად დაშლილი იმპერიის და მსოფლიო წესრიგის ერთი-ერთი ფუძემდებლის - დასუსტებამ. შეიძლება თუ არა მოსკოვის რევიზიონისტული საგარეო პოლიტიკა გლობალური ანტი-დემოკრატიული მოძრაობის ჩამოყალიბებას? თუ ეს მოხდება, როგორ უპასუხებს ამას დასავლეთი? ჩინეთის ამბიციები და გაძლიერება გაანეიტრალებს რუსეთის რევიზიონიზმს? ჩვენ ასევე მოუმზადებლები ვართ პოსტ-საბჭოთა სივრცეში შესაძლო კრიზისებისადმი და იმ შედეგებისადმი, რომლებსაც ისინი ევრაზიაში ძალთა ბალანსს მოუტანენ. რა შედეგის მომტანი იქნება ლუკაშენკოს რეჟიმის შესაძლო დამხობა და რა რეაქცია ექნება კრემლს ამაზე? ბუნდოვანია, თუ რამდენად ერთიანი და ქმედითუნარიანი იქნება დასავლეთი ამ კრიზისულ სიტუაციაში.

როგორც ჩანს, რუსეთზე ტრადიციული წარმოდგენების დრომოჭმულობას ბევრი მიმომხილველი ათვისებობიერებს. სამწუხაროდ, ჩვენ შორის ძნელად მოიძებნებიან ისეთები, ვინც ძველ რიტორიკას სცდება და საჯარო მსჯელობაში სიახლის შემოტანას ცდილობს. საექსპერტო წრეებში კვლავაც სჭარბობენ ძალთა ბალანსის და რეალიზმის სხვა აქსიომების ჩარჩოებში მოაზროვნე და ნორმატიული განზომილების უგულვებელმყოფი „პრაგმატისტები“. მათი „რეალიზმი“ ხშირად კრემლის გეგმებთან სრულ თანხვედრაშია. მათი მთავარი არგუმენტები — „საერთო ინტერესების“ დოგმა, რუსეთის „წუხილზე“ და კრემლის ინტერესების „გარკვეულწილად“ გათვალისწინებაზე აპელირება, გეოპოლიტიკური ფაქტორების მნიშვნელობის გაზვიადება და მოსკოვის „გავლენის სფეროების“ ლეგიტიმურობის აღიარებისკენ მოწოდებები — რუსული „სისტემისთვის“ ხელსაყრელ გარემოს ქმნიდნენ. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ის გავლენა, რომელიც ასეთმა მიდგომამ თავად კრემლზე იქონია. დაუსჯელობით შეგულიანებული კრემლი კიდევ უფრო მეტი თავხეველად იქცეოდა როგორც საკუთარ ტერიტორიაზე, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ეს ქცევა ბევრი კატასტროფის გამომწვევი გახდა. ამ მოვლენებზე პასუხისმგებლობის ნაწილი დასავლელ „პრაგმატისტებსაც“ ეკუთვნის. სწორედ მათმა მოქმედებამ ჩაუყარა საფუძველი კრემლის დაუსჯელობის სინდრომს — მოსკოვში დაიჯერეს, რომ დასავლეთი ყოველთვის მზად იქნებოდა შეგუებოდა მათ გადანწყვტილებებს.

დიდი ხნის განმავლობაში „პრაგმატისტები“ მათ ანალიზსა და რჩევებს რუსეთში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებზე აფუძნებდნენ. ეს გამოკითხვები, როგორც წესი, პუტინის მაღალ რეიტინგს და ანტი-დასავლური პოლიტიკისადმი ძლიერ მხარდაჭერას აჩვენებდნენ და „პრაგმატისტთა“ შორის პოპულარული დასკვნას ამყარებდნენ, რომლის მიხედვით „რუსეთი უნდა მიიღო ისეთი, როგორიც არის.“ ეს ნიშნავს, რომ რუსების მდგომარეობა უიმედოა, ისინი ვერასდროს შეძლებენ დასავლეთთან შესაბამისობის მიღწევას. საინტერესოა როგორ ხსნიან ისინი რუსეთში დღეს შექმნილ ვითარებას, როცა იზრდება უკმაყოფილება მოსახლეობაში, კრემლის მიმართ მხარდაჭერა კი დღითიდღე სუსტდება. „ლევადა ცენტრის“ მონაცემებით, რუსეთის მოქალაქეთა წილი, რომლებიც პუტინს ენდობა 2017 წლის 59%-დან 2020 წელს 23%-მდე დაეცა.² როგორც ჩანს, ეს ამ ტენდენციის მხოლოდ საწყისი ეტაპია. გააგრძელებენ თუ არა „პრაგმატისტები“ იმ რეჟიმთან შეგუებისკენ მოწოდებებს, რომელიც საკუთარი მოქალაქეების მხარდაჭერას კარგავს?

² <https://www.levada.ru/2020/07/29/odobrenie-organov-vlasti-i-doverie-politikam/>

„პრაგმატიკებს“ უჭირთ პარადოქსების ახსნა და იმ მახეებისთვის თავის არიდება, რომლებსაც კრემლი ასე უხვად აგებს. ისინი ამტკიცებენ, რომ მოსკოვის მოქმედება ყოველთვის რაციონალურ საფუძველს ემყარება და დასახულ მიზნებს აღწევს. საინტერესოა რომელ მიზნებზე და წარმატებაზე საუბრობენ ისინი, როცა ძნელად მოსაძებნია საერთაშორისო თანამეგობრობაში ისინი, ვინც რუსეთსა და პრეზიდენტ პუტინს ენდობა? მიგუბრუნდეთ საზოგადოებრივი აზრის კვლევებს. „პიუს კვლევითი ცენტრის“ მიხედვით, 33 ქვეყნიდან რუსეთის მიმართ უარყოფითი განწყობა 16-ში ჭარბობს. განსაკუთრებით კრიტიკულები ჩრდილოეთ ამერიკელები და დასავლეთ ევროპელები არიან. რუსეთის მიმართ დადებით დამოკიდებულებას ამერიკელთა 18% და 10 კანადელიდან მხოლოდ სამი ამჟღავნებს. დასავლეთ ევროპაში რუსეთის მიმართ დადებითად განწყობილი საშუალოდ 31%-ია, მათ შორის 12% შვედეთში, 23% ჰოლანდიაში და 26% დიდ ბრიტანეთში.

კიდევ უფრო მცირეა მათი რიცხვი, ვინც პუტინს ენდობა. 33 ქვეყანაში ჩატარებულმა გამოკითხვამ 22-ში პუტინის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების უპირატესობა გამოკვეთა. საბოლოო ჯამში, საერთაშორისო ასპარეზზე პუტინის მოქმედება უარყოფითად გამოკითხულთა 66%-მა შეაფასა.³ რთულია ამ მონაცემების გათვალისწინებით, კრემლის საგარეო პოლიტიკას „რაციონალური“ ეწოდოს.

მოვიდა დრო „პრაგმატიკებს“ შეეგუონ — მათ არგუმენტებს ძალა აღარ აქვს. სამწუხაროა, რომ ისინი ამისთვის მზად არ აღმოჩნდნენ და დრომოჭმული თეორიების ახლებურად გაფორმებასა და გამოყენებას ცდილობენ.

რუსეთი, რომორც გამონაკლისი

რუსეთის ცივილიზაციური გზის გააზრებას უდიდეს ინტელექტუალური ძალისხმევა სჭირდება. ამ ქვეყნის შესახებ დასკვნების გაკეთება იმ უფსკრულში ყურებას ჰგავს, რომელიც განუწყვეტილად ღრმავდება.

რუსეთის სახელმწიფო-სისტემა, მისი ყველა განზომილებით, უნიკალური სოციალურ-პოლიტიკური ფენომენია. სწორედ ამიტომაც ასე რთულია რუსეთის რომელიმე ცნობილ კატეგორიაში მოქცევა, იქნება ეს ლიბერალური დემოკრატია, ელექტორალური ავტორიტარიზმი, ჰიბრიდული რეჟიმი თუ სხვა. ისტორიას თუ გადავხედავთ, თანამედროვე რუსეთისთვის დამახასიათებელი თვისებების ნაწილს არაერთ ქვეყანაში აღმოვაჩინებთ. ავტოკრატია, მტაცებლურ ბიუროკრატია, კორუფციას, მილიტარიზმს, ექსპანსიონიზმს და ძალადობას დროსა და სივრცეში მოგზაურობისას ბევრგან შევხვდებით. სწორედ ეს ელემენტები ქმნიან იმ კულტურულ, ისტორიულ და სოციალურ-პოლიტიკურ ერთობლიობას, რომელსაც დღევანდელი რუსეთი წარმოადგენს.

რუსული „სისტემა“ ინდივიდის წაშლით, მისი მტვრად ქცევით არ შემოიფარგლება, მან ეს მის *raison d'être*-ად აქცია. ეს ფაქტი „სისტემას“ თანამედროვეობასთან ბუნებრივად შეუთავსებლად აქცევს.

რუსეთის განსაკუთრებული ხასიათი განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება ამ ქვეყნის ჩინეთთან შედარებისას. განვითარებული მერიტოკრატია, მმართველზე და მთავრობაზე კონფუციანიზმით დაკისრებული მორალური ტაბუები და ტრადიციული ღირებულებები, რომლებიც საზოგადოების ქსოვილს კრავენ, დესპოტიზმის განვითარების შესაძლებლობებს ზღუდავენ და ჩინურ სისტემას რეფორმირების შესაძლებლობას უნარჩუნებენ. კანონის უზენაესობისადმი დამოკიდებულებით თანამედროვე რუსეთის მმართველ წრეებთან შედარებით ოსმალეთის იმპერიაც კი უკეთესად გამოიყურება. იმ ფორმაში, რომელიც დღეს რუსეთის სახელმწიფომ მიიღო არც დესპოტიზმის მოთოკვისთვის საჭირო მექანიზმები ჩანს.

რუსული „სახელმწიფო-ცივილიზაციის“ საფუძველად ტრიადა უდევს. ამ ტრიალის პირველი ელემენტი სახელმწიფოს აბსოლუტური დომინირებაა. სახელმწიფო წმინდა და ხელშეუხებელია, მას არ ეხება კანონები და წესები, მის მოქმედებას არ ზღუდავს სოციალური კონტრაქტი. სახელმწიფოზე არ მოქმედებს მორალური ეკლესია და რელიგია რეპრესიებისა და ჩაგვრის ინსტრუმენტადაა ქცეული (მართლმადიდებლური ეკლესია მრევლს ამქვეყნიურ წარმატებაზე ზრუნვის ნაცვლად სასუფეველში ადგილის დამკვიდრებისკენ მისწრაფებისკენ მოუწოდებს). მეორე ელემენტი „ისტორიული იმპერატივის იდეაა“, რომელიც „სისტემის“ ლეგიტიმაციის საფუძველია და სახელმწიფო ინტეგრაციის ისეთ საკვანძო ფაქტორებს ანაცვლებს, როგორც ეროვნული თვითშეგნებისა და ერის ცნებებია. მესამე, „სისტემის“ გარე სამყაროსკენ ორიენტირე-

³ <https://www.pewresearch.org/fact-tank/2020/02/07/russia-and-putin-receive-low-ratings-globally/>

ბულობაა, რაც დომინირების, ექსპანსიის და ასიმილაციის მუდმივი მოთხოვნით გამოიხატება. რუსეთმა შექმნა მონსტრი: ჰობსის ლევიათანი, ჰობსისეული სოციალური კონტრაქტის გარეშე. ამ ცივილიზაციას ახასიათებს პერსონიფიცირებული ძალაუფლება, იმპერიული ამბიციები, მილიტარიზმი, ომი და ექსპანსიონიზმი. რეჟიმის აგრესიული ქცევის გამართლებების საუკეთესო საშუალება განტევების ვაცის ძიებაა. აღსანიშნავია, რომ მიზანთა მიღწევის ეს საშუალებები ნებისმიერ დროს შეიძლება თავად იქცნენ მიზნებად.

სხვა დესპოტური და ავტორიტარული რეჟიმებისგან განსხვავებით, რუსულმა „სისტემამ“ საკუთარი თავის გადარჩენა საერთაშორისო პრობლემად აქცია. ის საგარეო პოლიტიკასა და მსოფლიო წესრიგის ერთ-ერთი ფუძემდებლის სტატუსს საშინაო პრობლემების მოგვარებისთვის იყენებს. რუსეთის შიდა პრობლემების გამოგონილი საგარეო საფრთხეთა დახმარებით გადაფარვა კრემლის ჩვეულ პრაქტიკად იქცა. ამგვარად, „სისტემამ“ თვითგადარჩენა საერთაშორისო დღის წესრიგის ნაწილად და პრობლემად აქცია.

„სისტემის“ ცალკეულ კომპონენტებს სხვა საზოგადოებებშიც ვხვდებით, თუმცა რუსეთში მათ სხვა, განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინეს, რაც დესპოტიზმის გაძლიერების წინაპირობად იქცა. ბრიტანული, ფრანგული, ესპანური, ავსტრო-უნგრული ან ოსმალური კოლონიური იმპერიებისგან განსხვავებით რუსეთის იმპერია ყოველთვის იდიოსინკრაბიული (იდეოკრატიული) პროექტი იყო. ბუნდოვანი „იმპერიული იდეის“ განხორციელებისთვის სხვა ერების დამორჩილება და მათი ტერიტორიების დაპყრობა სახელმწიფოსადმი უსიტყვო მორჩილებას და კერძო ინტერესების დაგინყებას საჭიროებს. საკუთარი ხალხის ჩაგვრისა და რეპრესიების გამართლებისთვის ეს კრემლის მთავარი არგუმენტი იყო და არის. საშინაო მორჩილებისთვის საერთაშორისო ასპარეზზე აგრესიული ქცევა „სისტემის“ უმთავრეს პრინციპად იქცა.

ჰიტლერის მესამე რაიხისა და მეორე მსოფლიო ომის დროინდელი იაპონიის მიერ განსახიერებულმა მილიტარიზმმა რუსეთში განსხვავებული ფორმა მიიღო: აქ ის „სისტემის“ საძირკვლად და თვითგადარჩენის მთავარ ინსტრუმენტად იქცა. თუ პრუსიაში ომი ეროვნული მრეწველობა იყო, რუსეთში ეს ცხოვრების წესია: მშვიდობა შემდეგი ომისთვის მზადების მოკლე პერიოდია. დღეს რუსეთი (ჩრდილოეთ კორეის გარდა) ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც „ალყაშემორტყმულ გარნიზონად“ არსებობის ფორმა არჩია, სადაც მოქალაქეები და მათი ყოველდღიური ყოფა მთავარსარდლის განკარგულებაშია.

და ბოლოს, რუსეთმა ერთგვარი გაორებული ხასიათი გამოავლინა, რომელსაც ხელს გარკვეული ისტორიული და სულიერი სტერეოტიპები უწყობენ: ერთი მხრივ, რეჟიმი უმკაცრესი რეპრესიებისა და მსხვერპლისთვისაა მზად; მეორე მხრივ, მასებს თავგანწირვისთვის მზადყოფნა მოეთხოვებათ, ეს მათ ბუნებრივ მოვალეობად და რუსეთისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული „სულიერების“ გამოვლენად ითვლება.

საუკუნეების განმავლობაში „სისტემამ“ საზოგადოების ცნობიერებაში რეალობის მითიური ხედვის დანერგვა მოახერხა. ამ ხედვის თანახმად, „სისტემის“ ნებისმიერი ალტერნატივა ქაოსისა და ნგრევის საშიშროებად აღიქმება, პიროვნული დამოუკიდებლობა და ინდივიდუალიზმი კი ის დამღუპველი თვისებებია, რომელთა აღმოფხვრას წინ ვერაფერი უნდა დაუდგეს.⁴

ამ პარადიგმაში მოქცეული ინდივიდი თავს დამოუკიდებელ არსებად ვეღარ აღიქვამს და თავს სახელმწიფოს სრულ კონტროლს უქვემდებარებს, რომლის ყველა მოქმედება a priori ფსიქოლოგიურად გამართლებულია. შესაბამისად, ეს კონსტრუქცია საფრთხეშია, როცა ამ ელემენტთაგან ერთ-ერთი სუსტდება. ძნელად მოსაძებნია რუსეთის ის მოქალაქეები, რომლებსაც ქაოსი სურთ.

ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა

რუსული სახელმწიფო სისტემის ცარიტულ-მართლმადიდებლურმა განსახიერებამ თავი 1917 წელს ამოწურა და ახალი ფორმა, საბჭოთა-თეოკრატიული სახელმწიფოს ფორმა მიიღო. საბჭოთა მმართველობის 70 წლის განმავლობაში „სისტემა“ თავს დასავლეთის სიცოცხლისუნარიან და კონკურენტულ ალტერნატივად წარმოსახავდა, რასაც უზარმაზარი მსხვერპლისა და მოსახლეობის განადგურების ხარჯზე ახერხებდა. სინამდვილეში, რუსული მატრიცისთვის საბჭოთა სახელმწიფო თვითგანადგურებისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო: „სისტემამ“ და ხალხმა სასიცოცხლო ძალები მის შენარჩუნებას შეაღიეს.

⁴ Igor Yakovenko, Мир через призму культуры. Москва, Изд-во Знание, 2013

დღევანდელი გადმოსახედიდან შესაძლებელია განვაცხადოთ, რომ სტალინის მმართველობის წლები „სისტემის“ ზენიტში ყოფნის პერიოდი იყო, რომელსაც პერმანენტული დაღმასვლა მოჰყვა. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლა რუსული ცივილიზაციური პროექტის დასასრული იყო. საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში მან სიცოცხლე ბოლშევიკურ-მარქსისტული მოდელის მიღებით გაიხანგრძლივა, თუმცა ეს ისტორიული პერიოდიც დასასრულს უახლოვდებოდა. გამოაშკარავდა წინააღმდეგობა იმპერიულ სახელმწიფოსა და რუს ხალხთა ინტერესებს შორის. რუსეთის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ იმპერია რუსების, როგორც ერის გაქრობას მოასწავებდა. ბირთვული ზესახელმწიფო მშვიდობიან დროს, გარე ან შიდა სასიცოცხლო საფრთხეების გარეშე დაეცა. დღეს ამ დაცემის შედეგებია სახეზე: რუსეთი, მის გარშემო მდებარე დამოუკიდებელი ქვეყნები და მთლიანად საერთაშორისო სისტემა კვლავაც რუსული ლეგიათანის აღსასრულის მძევლები არიან.

ტოტალიტარული პროექტების წარუმატებელი გამოცდილების მქონე სხვა ქვეყნებისგან, გერმანიისგან, იტალიისგან ან იაპონიისაგან განსხვავებით რუსეთის ელიტამ 1991 წლის მარცხი არ მიიღო და ეს რუსულ საზოგადოებასაც აიძულა.

შესაბამისად, 1991 წელს არც საბჭოთა კავშირის ისტორია დასრულებულა. ამ პერიოდიდან მოყოლებული „სისტემა“ ძალის შენარჩუნებას ცდილობდა, თუმცა ამჟამად ზომბი-სახელმწიფოს სახე ჰქონდა მიღებული.⁵ ამ ცოცხალ-მკვდარი მოდელის არსებობამ პოლიტიკური გადაგვარების სრულიად ახალი ეტაპი წარმოგვიდგინა, რომელიც ინტელექტუალურად გააზრებასა და გარჩევას საჭიროებს.

„სისტემის“ მშვიდობიანი გარდაქმნის უკანასკნელი ისტორიული შესაძლებლობა საბჭოთა კავშირის დაშლა იყო. რეპრესიული აპარატის, სახელმწიფო ინსტიტუტების, ბიუროკრატისა და პოლიტიკური კლასის პარალიზებამ „პოლიტიკური ალტერნატივის“ ჩამოყალიბების რუსეთის ისტორიისთვის უპრეცედენტო შესაძლებლობა შექმნა. რუსმა ხალხმა ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა. საბჭოთა კავშირის დაცემა „სისტემისთვის“ კანის გამოცვლისა და სიცოცხლისუნარიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობად იქცა.

თუ საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში „სისტემის“ ლეგიტიმაცია კომუნისტურ იდეოლოგიას და დასავლეთთან წინააღმდეგობას ეფუძნებოდა, 1991 წლის შემდეგ ის თავის გადარჩენას ანტი-კომუნიზმით, დასავლეთთან პარტნიორობით და ლიბერალური ინსტიტუტების იმიტაციით ცდილობდა. თუმცა დიდხანს არც ეს პერიოდი გაგრძელებულა. საწყის ეტაპზე არავინ იცოდა თუ რა გავლენას მოახდენდა ლიბერალიზაცია „სისტემის“ მთავარ მახასიათებლებზე - შეუზღუდავ ძალაუფლებასა და კანონიერების უგულვებლყოფაზე. როგორც დრომ აჩვენა, მოჩვენებითი ლიბერალიზაციის პერიოდიდან „სისტემა“ უვნებელი გამოვიდა, თუმცა იმიტაციისა და შეცდომაში შეყვანის განმაცვიფრებელი უნარები გამოავლინა.

იმპერიათა ნაწილი ქრება, ნაწილი რეფორმირებას ახერხებს, თუმცა მათი დაცემის პროცესი ყოველთვის მტკივნეულია. კოლონიურ იმპერიებში ეს პროცესი ნაკლებად მძიმედ წარიმართა, ავსტრო-უნგრეთისა და ოსმალეთის მსგავს ტერიტორიულად ინტეგრირებულ იმპერიებში ეს პროცესი ამ სისტემების აგონიით და დებინტეგრაციით დასრულდა. ასე იყო თუ ისე, ყველა ტრანსფორმაციული პროცესის დაწყებას წინ მარცხის აღიარება უსწრებდა: ელიტები მზად იყვნენ არსებულ წყობაზე უარი ეთქვათ და ახალი წესები მიეღოთ. პროცესს ცვლილებების განხორციელების შემძლე ლიდერი უდგებოდა სათავეში. ასე მოხდა ოსმალეთის იმპერიაში, რომელიც ათათურქის მეთაურობით ერ-სახელმწიფოდ გარდაიქმნა. რუსებს, რომლებსაც თურქებისგან განსხვავებით იმპერიის გარეშე არასდროს უცხოვრიათ, უჭირთ აზროვნების შეცვლა და მათი კულტურული და ისტორიული ტრადიციის საპირისპიროდ სვლა.

თუმცა მთავარი პრობლემა აქ რუსეთის ელიტაში იყო, რომელმაც ვერ მოახერხა თანამედროვე სახელმწიფოდ გარდაქმნის თანმიმდევრული გეგმის შექმნა ან ამ გეგმის განმახორციელებელი ლიდერის ჩამოყალიბება. სწორედ ელიტამ ვერ შეცვალა რუსული ნაციონალიზმი, რომელმაც არქაული, იმპერიული და ანტი-ევროპული ფორმა შეინარჩუნა. ელცინმა და პუტინმა გააგრძელეს იმპერიული პარადიგმებით ხელმძღვანელობა. პუტინი ათათურქის რუსულ ანტიპოდად იქცა.

როგორც ჩანს, „სისტემა“ კრიზისულ პერიოდში კიდევ დიდხანს იქნება, თუმცა ეს კრიზისები არ განაახლებენ ან გადაახალისებენ მას როგორც ეს მეოცე საუკუნეში ხდებოდა. ამისა ნაცვლად, ეს კრიზისები მის დეგრადაციას დააჩქარებს და ამ პროცესში საზოგადოებასაც ჩაითრევს.

⁵ The term coined by the Russian philosopher Andrey Piliipenko. <http://rufabula.com/articles/2013/06/19/russian-matrix>

რა თქმა უნდა, 1990-იან წლებში იმპერიული მემკვიდრეობის დათმობის გზაზე რუსეთს ბევრი წინაღობა ელოდა. იმპერიიდან ერი-სახელმწიფოდ გარდაქმნისთვის თავად რუსეთის ფედერაციის დაშლა იქნებოდა საჭირო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის დემინტეგრაცია მოსახლეობისთვის უმძიმესი განსაცდელი იქნებოდა. თუმცა მალევე გახდა ნათელი, რომ უმსხვერპლოდ არც გადაგვარებული იმპერიის ნაშთის შენარჩუნება ჩაივლიდა. სხვა პოსტ-კომუნისტური ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებმაც რუსეთის გავლენისთვის თავის დაღწევა პრო-ევროპული ნაციონალიზმის საშუალებით გადაწყვიტეს, რუსეთმა 1991 წელს ვერ მოახერხა საკუთარი თავის შეცვლა და რადიკალური ცვლილებების განხორციელება.

რა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი მაინც გადაწყვიტდა იმპერიული მოდელის შეცვლას? მოჰყვებოდა ამას ლიბერალურ-დემოკრატიული ცვლილებები? ასეთი სცენარი ნაკლებად საგარაუდო იქნებოდა, იმპერიის ნანგრევებზე თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა მოსახლეობის მენტალობისა და ყოველდღიური ჩვევების სიღრმისეული ცვლილების გარეშე შეუძლებელია. ასეთი ცვლილებების განხორციელება დემოკრატიული ხერხებით ძნელად წარმოსადგენია. თუმცა რუსულმა ავტორიტარიზმმა ვერც თურქული სტილის მოდერნიზმულ ავტორიტარიზმად გარდაქმნა მოახერხა. რუსეთმა მის წინა-მოდერნიზმულ ფორმასთან დაბრუნება არჩია.

რუსეთის ისტორიის საკვანძო მომენტებში რუსმა ლიბერალებმა და დემოკრატებმა ცვლილებების გამოწვევა ვერ მოახერხეს: ისინი ცვლილებების იმედს განასახიერებდნენ, თუმცა ცვლილებებში წესებისა და ინსტიტუტების შეცვლის ნაცვლად, რეჟიმის ან მმართველების ჩანაცვლებას გულისხმობდნენ. ძლიერი, მოდერნიზტული დღის წესრიგის გარეშე „სისტემა“ არქაულ, ერთპიროვნული მმართველობის ფორმას დაუბრუნდა. (შესაძლოა ეს ლიბერალებს უნებურად გამოუვიდათ, მიუხედავად ამისა, შედეგზე პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ).

რუსეთი ერთპიროვნული მმართველობის სისტემას დაუბრუნდა, თუმცა ეს ამჯერად საბაზრო ეკონომიკის ელემენტებსაც შეიცავდა. რუსი „სისტემური ლიბერალები“ მმართველი ჯგუფის ნაწილი გახდნენ და „სისტემის“ ახალი მოდელის ლეგიტიმაცია მოახდინეს, რითიც რუსეთში ლიბერალიზმის დისკრედიტაციას შეუწყვეს ხელი. ავტორიტარულ რეჟიმში ინტეგრაციის პარალელურად ლიბერალურ-დემოკრატიულ იდეოლოგიაზე განუწყვეტელმა აპელირებამ ოლიგარქთა და ძალოვანთა კავშირზე დაფუძნებული ერთპიროვნული მმართველობის ალტერნატივის შექმნა გამოიწვია: როგორ უნდა შექმნილიყო ლიბერალური ოპოზიცია მაშინ, როცა ლიბერალები თავად იყვნენ ავტორიტარული სისტემის ნაწილი?

რამდენად შეუწყობდა ხელს ცვლილებებს ლიბერალთა მიერ მეტი პრინციპულობის გამოჩენა? ამის განსაზღვრა რთულია, მაგრამ პასუხი საგარაუდოდ უარყოფითია. თუმცა იმის თქმა შეიძლება, რომ ამ შემთხვევაში ლიბერალური-დემოკრატიის ჩამოყალიბება პოლიტიკურად შესაძლებელ პერსპექტივად დარჩებოდა. დასავლეთის მხარდაჭერამ ელცინის „რეფორმებისადმი“, რომლებიც კორუმპირებული და ოლიგარქიული მმართველობის მქონე რეჟიმის რეპროდუქციის საშუალებად იქცა, ლიბერალურ-დემოკრატიის მოდელის დისკრედიტაცია მოახდინა და დასავლეთის რუსეთისადმი დამოკიდებულებას უარყოფითი კონოტაცია შესძინა.

სხვა საზოგადოებების შემთხვევაში, დემოკრატიული ტრანსფორმაციისთვის საჭირო პირობების ნაკლებობა ლიდერების ან რეფორმატორთა ჯგუფის გაბედულმა ნაბიჯებმა აანაზღაურეს. როგორც ხუან ლინცი წერდა: „ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ ამ აუცილებელი ფაქტორების პოლიტიკური ინიციატივითა და დღის წესრიგით ჩანაცვლებას“.⁶

რუსეთში ბორის ელცინმა რუსული „სისტემის“ ახალი იმპერიული ინკარნაციის საკონსტიტუციო ჩარჩო მოამზადა, რაშიც ლიბერალებისა და დემოკრატების მხარდაჭერაც მიიღო. მოკლედ რომ ვთქვათ, რუსეთის ერთპიროვნული მმართველობის სისტემის შემქმნელი პუტინი არ ყოფილა. მან ელცინის მიერ შექმნილი სისტემა გამოიყენა, თუმცა ბევრი ახალი შტრიხი შესძინა!

⁶ Democracy's Victory and Crisis, ed. By Axel Hadenius, Cambridge University Press, 1997 p 408

ორაზროვნის სამყარო

„სისტემის“ თვითგადარჩენის უმთავრეს ინსტრუმენტად საგარეო პოლიტიკა იქცა. კრემლისთვის საგარეო პოლიტიკას რამდენიმე პარალელური ფუნქცია აკისრია. პირველი, პერსონიფიცირებული ავტორიტარიზმისთვის კეთილგანწყობილი საერთაშორისო გარემოს შექმნა. მეორე, კრემლის განკარგულებაში არსებული რესურსების შემცირების პირობებში მათი კომპენსირებაა და საგარეო პოლიტიკის რეჟიმის გარშემო საზოგადოების კონსოლიდირებისა და რუსული პოლიტიკური კლასისთვის დასავლეთის სისტემაში გავლენის მოპოვებაში ხელშეწყობისთვის გამოიყენება. მესამე, რუსეთის ეკონომიკისთვის საჭირო რესურსებზე წვდომის და მმართველი კლასის კეთილდღეობის უზრუნველყოფაა.

ის ფაქტი, რომ საგარეო პოლიტიკას შიდა პოლიტიკური ფუნქციები აკისრია, რაც ჩვეულებრივ სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ფუნქციაა, ადასტურებს, რომ „სისტემას“ მოდერნიზაციის შესაძლებლობა ამოწურული აქვს და მისი ერთადერთი საზრუნავი საკუთარი არსებობის გახანგრძლივებაა. ხალხის ყურადღების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიდან საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგზე გადატანა, დასავლეთის მიერ რუსეთის დამცირებაზე მუდმივი აპელირება და მეზობელ ქვეყნებთან საომრად შემზადება მიუთითებს იმ ილუზიებზე, რომლებსაც კრემლი რუსეთის ნამდვილი პრობლემების გადაწყვეტად განიხილავს. ამას რუსეთი კიდევ უფრო ღრმად შეყავს იმ ცივილიზაციურ ჩიხში, რომლიდანაც გამოსვლა ისედაც რთული ამოცანა იყო.

გესახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნება კრემლის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ ამოცანის მისაღწევი ყველაზე დამაჯერებელი გზა კი ახალი გლობალური წესრიგის შექმნაში რუსეთის თანამონაწილეობა და ჩართულობაა. 2015 წლის დეკემბერში მიცემულ ინტერვიუში პუტინმა ღიად განაცხადა, რომ კრემლის პრიორიტეტი „გეოპოლიტიკურ ბრძოლაში“ გამარჯვება და „საერთაშორისო სამართალზე დამყარებული წესების დამკვიდრებაა“. „გლობალურ ქაოსთან“ გამკლავება, ომისა და მშვიდობის საკითხზე გაუთავებელი დებატები ცნობილი საბჭოთა ხრიკია. არავინ იცის რამდენი დრო დასჭირდება დასავლეთს, სანამ აღმოაჩენს, რომ მოლაპარაკებები დროს გასაყვანად იყო თავიდანვე ჩაფიქრებული. თუმცა ამ შემთხვევაშიც კი შესაძლებელია მოიძებნონ ისინი, ვინც ამ პროცესს სასარგებლოდ ჩათვლის.

რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში და საზოგადოებაში გაბატონებული აზრის მიხედვით დღეს არსებული გლობალური წესრიგი უსამართლო და „ნეო-ვერსალის სინდრომის“ გამომწვევია. დიდი ხნის განმავლობაში კრემლის მთავარი მოთხოვნა გლობალური წესრიგის რუსეთისთვის საერთაშორისო ასპარეზზე უფრო საპატიო ადგილის დათმობა იყო. სულ ეს არის! ჩინეთისკენ „შეტრიალება“, BRICS-ის ალტერნატიულ გლობალურ ძალად ჩამოყალიბება და სხვა მსგავსი ზღაპრების ერთადერთი დანიშნულება დასავლეთის მოსკოვის მოთხოვნებისადმი მეტი ყურადღების გამოწვევაა იყო. „თუ არადა პეკინს შევეკვრებით!“, ისმის კრემლის მუქარა, რომლისაც ამ ბოლო დროს სულ უფრო თვალშისაცემად აკლია დამაჯერებლობა (რა თქმა უნდა, ახალი დიალოგი კრემლის პირობებით უნდა დაიწყო).

რას გულისხმობს „ახალი მსოფლიო წესრიგი“, რომელსაც კრემლი ასე დაჟინებით სთავაზობს საერთაშორისო თანამეგობრობას? კრემლი ამ საკითხში მაქსიმალურ ბუნდოვანებას ინარჩუნებს. პუტინი ხშირად საუბრობს იალტის შეთანხმებაზე, რომელმაც გლობალური გავლენის სფეროების დანაწილებისა და ლეგიტიმაციის წყარო იყო. მისთვის ახალი იალტის შეთანხმებაში რუსეთის მონაწილეობას უფლებას ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვება აძლევს. საინტერესოა რამდენად სჯერა თავად პუტინს, რომ მოსკოვი შეძლებს საზღვრების კიდევ ერთხელ შეცვლას და აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე კონტროლის დაბრუნებას? დასავლეთთან, ირანთან და სუნიტურ ქვეყნებთან ერთად ახლო აღმოსავლეთის დანაწილებას? ეს ნაკლებად სავარაუდოა.

რიტორიკა არაფერს ნიშნავს. კრემლი სამაგალითო პოსტ-პოსტმოდერნულ პოლიტიკას აწარმოებს, რომელიც ურთიერთწინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებებითა და პრინციპებსა და ნორმებს, ომსა და მშვიდობას, რეალობასა და იმიტაციას, მოკავშირესა და მტერს, კანონსა და უკანონობას, შიდა და გარე კონფლიქტებს შორის გამყოფი ხაზების წაშლით ხასიათდება. კრემლს შეუძლია ომი დაიწყო, შემდეგ კი მშვიდობის დამყარების საკუთარი ხედვა თავადვე წარმოადგინოს.

კრემლთან დაახლოებული ექსპერტები ძალ-ღონეს არ იშურებენ რუსეთის საგარეო პოლიტიკისთვის „ახალი იდეების“ ჩამოყალიბებისა და შეთავაზებისთვის. ამ იდეების ნაწილი ადეკვატურობის ტესტად ან ირონიის გრძნობის გამოცდად შეიძლება ჩაითვალოს. განა სხვა რა რეაქცია შეიძლება მოყვას რუსეთისთვის

„საერთაშორისო მშვიდობის“ ან „თავისუფალი არჩევანის“ დამცველის როლის მინიჭების წინადადებას? ასევე უცნაურია რუსეთის „მიუმხრობელთა“ მოძრაობის ლიდერისა და სუვერენიტეტის პრინციპის მცველის ერთდროულად განხილვის იდეაც: როგორ შეიძლება ქვეყანა სუვერენიტეტის დაცვასა და ახალი ალიანსის ლიდერობას ერთდროულად ითხოვდეს?⁷ ეს ძალიან პუტინურია!

როგორც ჩანს, კრემლი ჰობსისეული მსოფლიო წესრიგის მისეულ ვერსიას გვთავაზობს: ის არა საერთაშორისო შეთანხმებებზე და ნდობაზე, არამედ მოთამაშეთა ორაზროვნებაზე, მათი ბრახვების გაურკვევლობაზე და მოულოდნელი მოქმედებისადმი მზაობაზეა დაფუძნებული. ამ წესრიგს იალტის შეთანხმებასა და ვენის კონგრესთან საერთო არაფერი აქვს. ამ საერთაშორისო ურთიერთობების თანამშრომლობითი სისტემების შემქმნელები დადებულ პირობებს ასრულებდნენ, არავის უნდოდა შეთანხმების დამრღვევის როლი ეკისრა. ახლა კრემლი შეთანხმების პირობების ინტერპრეტაციის უფლებას ითხოვს. ამავე დროს, რუსეთის მმართველ კლასს სურს გლობალიზაციის სიკეთეებით ისარგებლოს და დასავლეთზე გავლენის მოხდენის საშუალება მათივე საზოგადოებების შიგნიდან ჰქონდეს. ეს არის გლობალური წესრიგი რუსულ ყაიდაზე! კრემლის ტექნოლოგებთან შედარებით მაკიაველი სკოლის მოსწავლეს ჰგავს.

კრემლის მიერ შემოთავაზებული მსოფლიო წესრიგი პოსტ-კომუნისტურ სამყაროზე ბუნდოვანია, მაგრამ ეს სხვა სახის ორაზროვნებაა, რომელიც აგრესიული მოთამაშის მიერ ძალადობრივი გეგმისადმი მზაობას ითვალისწინებს. გერმანიასა და საფრანგეთის მიერ უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიისა პარალელურად მოსკოვის სამშვიდობო მოლაპარაკებების მაგიდასთან მიღება კრემლს მის მიდგომასთან დასავლეთის შეგუების შთაბეჭდილება შეუქმნა.

ამ შთაბეჭდილებას მოსკოვის სირიული ავანტიურაც აძლიერებს. კრემლს მიაჩნია, რომ დასავლეთი და განსაკურებით ევროპა იძულებული იქნება მისი თამაში ითამაშოს. რა თქმა უნდა, ეს ქიშკიაა, თუმცა თუ ამ ქიშკიას კრემლის ქცევის მონესრიგება შეუძლია, რატომაც არა?

კრემლის არსენალში მისი დღის წესრიგის შესრულების ბევრი ინსტრუმენტია. მზად უნდა ვიყოთ, რომ კრემლი ერთს იტყვის და მეორეს გააკეთებს. ძველი სიმბოლოები და ქცევის წესი მოსკოვის მიერ თავისუფალი ინტერპრეტაციების საგანია, რომლებიც კრემლის მოცემულ ვითარებაში მისაღწევ მიზანზეა დამოკიდებული. ამას გარდა, კრემლი აგრესიული ქმედებისთვისაც მზადაა, რაც თავაზიანობას, კომპრომისებსა და დიპლომატიურ ეტიკეტს მიჩვეული დასავლეთის დაბნეულობასა და შოკს იწვევს.

2020 წლის დასაწყისში პუტინმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობითი მოდელის იდეა წამოჭრა. ამ იდეამ მისი აღრესატები საგონებელში ჩააგდო. თუმცა შემდეგ თამაშში მონაწილეობას დათანხმდნენ, კრემლის გაღიზიანება არავის სურდა. კრემლის ხედვაში რუსეთის მმართველ წრეებს დასავლეთთან დაპირისპირებისა და მისგან იზოლაციის დასრულება უკანდახევის შთაბეჭდილების შექმნის გარეშე სურთ. მაშინაც კი, როცა კრემლი ფანჯრების დაღვნივით იმუქრება, მიზანი უცვლელია: დასავლეთის რუსეთის მსოფლიოს უმაღლეს ლიგაში სრულუფლებიან მოთამაშედ მიღებაზე დათანხმება!

სჯერა კი პუტინს მისი ამ „დიადი პროექტის“ გამოსვლის თუ თავს გლობალურ კაზინოში მოთამაშედ განიხილავს? ამას აღარანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს. ხშირად დასმული კითხვები „რას ფიქრობს პუტინი?“ და „ვინ არის მისტერ პუტინი?“ ახლა დროის კარგვაა, მისი რიტორიკაც და მოქმედებაც მისი სისუსტეების დაფარვის და შეცდომაში შეყვანის მცდელობებია. დარწმუნებული ვარ, კრემლის ტექნოლოგებს ამ უსასრულო „პუტინიადის“, „სისტემის“ ლოგიკასა და მისი თვითგადარჩენის ტაქტიკაზე მსჯელობის ნაცვლად პუტინის მოტივაციებში გარკვევის მცდელობების, გაგრძელება ძალიან გაახარებთ.

ამ მოცემულობაში ბევრი გაურკვევლობაა: რამდენად ადეკვატურად აფასებს კრემლი რეალობასა და მისი მოქმედებების შესაძლო შედეგებს; მისი თავშეკავების უნარი; დასავლეთის უნარი გაერო-ს კრემლის გეგმებში და ერთიანი ფრონტით გამოვიდეს; და ბოლოს, რუსეთის ეკონომიკური რეცესიისა და სოციალური მღელვარების მზარდი მასშტაბი.

პოსტ-პოსტმოდერნული გაურკვევლობა მომხრეებსა და მიმდევრებს დასავლეთშიც ნახავს — განსაკუთრებით მათ შორის ვინც ვერ იტანს ნორმატიულ დოგმატიზმს, მოხიბლულია ბოლო რამდენიმე ათწლეულის საგარეო პოლიტიკის პრაგმატული ხასიათით და ა.შ. ასეთი ბუნდოვანი წესრიგი იდეალურია რუსეთის რანტიეთა კლასისთვის დასავლეთის ქვეყნების „ლონდონგრადებთან“ კავშირების შენარჩუნების პარალელურ-

⁷ <https://globalaffairs.ru/articles/doklad-niu-vshe-o-novyh-ideyah-video/>

რად რუსეთის საზოგადოების დასავლური ნორმებისგან იზოლაციისთვის. ის პუტინის რეჟიმს საშუალებას აძლევს საკუთარი ლეგიტიმაცია ანტი-დასავლურობაზე დააფუძნოს და ამავე დროს მოლაპარაკებების მაგიდასთან დასავლეთის ქვეყნებთან იჯდეს. ეს ორაზროვანი მსოფლიო „სისტემას“ დასავლეთის შეკავების საშუალებას მათი საზოგადოებების დაუცველობის შესახებ ფიქრის გარეშე აძლევს. რა დიდებული გამოგონებაა: ფასი დაბალი, ჭილდო მაღალი! ცივი ომი ამასთან შედარებით სიგიჟედ ჩანს. ბევრად სჯობს მოწინააღმდეგე მუქარით გადმოიბირო და საკუთარი თვითგადარჩენის საქმეში შეატანიო წვლილი.

უნდა ვადიაროთ, რომ რუსული „სისტემა“ ცივი ომის შემდგომ რეალობასთან ადაპტირებისთვის ლიბერალურ ცივილიზაციაზე მეტად მარჯვე აღმოჩნდა. დასავლეთის მობილიზაციასა და ლიბერალური იდენტობის განმტკიცებას საბჭოთა კავშირის მსგავსი იდეოლოგიური ოპონენტის არსებობა, მისი შეკავების აუცილებლობა უწყობდა ხელს. სცენიდან საბჭოთა კავშირის გასვლის შემდეგ, არ აღმოჩნდა არცერთი საფრთხე, მათ შორის არც ტერორიზმი, რომელიც საკმარისად საშიში იქნებოდა რეფორმირების სტიმულის მიცემისთვის. საშიში მოწინააღმდეგის არარსებობამ დასავლეთის ლიდერ შეერთებულ შტატებს საერთაშორისო ასპარეზზე ნაკლები აქტიურობისკენ უბიძგა. შეიქმნა გეოპოლიტიკური ვაკუუმი რუსეთზე მეტად აღმავლობის გზას დამდგარმა ჩინეთმა ისარგებლა.

ამასობაში რუსულ „სისტემას“, რომელმაც თვითგადარჩენის ახალი მექანიზმი სიცრუეზე ააგო, შეცდომაში შეყავს ისინი, ვინც იგი საბოლოოდ დამარცხებულად ჩათვალა. ზოგჯერ ეს სტრუქტურა მართლაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ დიდი დღე აღარ უწერია და განადგურების პირასაა, როგორც ეს პუტინის ოპონენტებს უნდათ რომ სჯეროდეთ. თუმცა ეს შეცდომაა! „სისტემა“ დაამტკიცა, რომ ძალიან მტკიცე კონსტრუქციაა. მისმა მდგრადობამ პოლიტიკური გადაგვარებისა და ცივილიზაციების დასასრულის შესახებ ჩვენი შეხედულებების გადახედვისკენ უნდა გვიბიძგოს.

განსაცვიფრებელია იმის გააზრება, თუ რა თავისუფლად იყენებს საკუთარი მიზნებისთვის ლიბერალური დემოკრატიისადმი ასე მტრულად განწყობილი სისტემა დასავლეთის ფინანსურ და ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს. მართალია ანალოგიური პრაქტიკა ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროს დამკვიდრდა და რუსეთის იმპერიას მთელი მისი არსებობის განმავლობაში ახასიათებდა, თუმცა ანალოგიური პრაქტიკა საბჭოთა კავშირის პირობებშიც მეორდებოდა, როგორც ამას 1930-იან წლებში საბჭოთა ეკონომიკისა და სამხედრო შესაძლებლობების გაუმჯობესებაში დასავლეთის აქტიური ჩართულობა მიგვითითებს.

დღეს დასავლეთთან როგორც ურთიერთობის, ისე დაპირისპირების რუსული ტაქტიკა ახალ ელემენტს შეიცავს, ეს რუსული ელიტების დასავლეთში პიროვნული ინტეგრაციაა. ერთი მხრივ, ასეთი ტაქტიკის მიზანი ლიბერალურ ცივილიზაციასთან მაქსიმალური სიახლოვეა; მეორე მხრივ, დასავლეთის რესურსებზე წვდომა და მის სოციალურ ქსოვილში შეღწევა მისი საზოგადოების დასუსტებისთვის გამოიყენება.

ძაბრის ლობიკა

შევხებთ „სისტემის“ მახეებსაც. კრემლის პოსტმოდერნისტული ტაქტიკა წარმატებული ბევრ სფეროში შეიძლება აღმოჩნდეს, მაგრამ მისმა ფათერაკიანმა იმპროვიზაციებმა შესაძლოა მისი დასასრული დააჩქაროს და დანარჩენ მსოფლიოსაც სავალალო შედეგები მოუტანოს.

სახეზეა რუსეთის მიერ ძაბრის ლოგიკით მოქმედება. კრემლი პრობლემას ქმნის, ხოლო მისი მოგვარებისას, კიდევ უფრო მძიმე პრობლემებს იწვევს. 2014 წლის მარტში ყირიმის ანექსიამ პუტინის პოპულარობა გაზარდა. ანექსიას უკრაინის წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომის დაწყება მოჰყვა, რომელმაც მსოფლიოს ყურადღება ყირიმიდან აღმოსავლეთ უკრაინაზე გადაიტანა, მაგრამ მძიმე შედეგები მოუტანა რუსეთს და მისი საერთაშორისო იზოლაცია გამოიწვია. კრემლმა უკრაინის კრიზისიდან გამოსავლის ძიება დაიწყო და სირიულ ჭაობში შეტოპა.

სირიის „პროექტი“ მიზნად რუსეთის მსოფლიოს უმაღლეს ლიგაში დაბრუნება და საერთაშორისო იზოლაციის დაძლევა იყო. მარგინალი ქვეყანა ზესახელმწიფო ვერ იქნებოდა. კრემლის „ძალისმიერი არმიის“ ტაქტიკას, რომელიც სასურველი პარტნიორის დიალოგზე და თანამშრომლობაზე დათანხმებას იძულებით ითვალისწინებს, დასავლეთის ლიდერები მოსკოვთან ახალი გარიგების აუცილებლობაში უნდა დაერწმუნებინა.

სირიის ომში რუსეთის ჩართვამ ახლო აღმოსავლეთის დესტაბილიზაცია გაამძაფრა, გაიზარდა ტერორიზმის საფრთხე რუსეთში, გაუარესდა ურთიერთობები თურქეთთან. დღეს სირია რუსეთის პრობლემის ექსპერტებს რუსეთისა და ჩინეთის პარტნიორობის შესახებ გაკეთებული თამამი შეფასებების გადახედვა სჭირდებათ. კრემლის გეგმის მიხედვით პეკინთან დაახლოებას მისი იზოლაციიდან გამოსვლისთვის უნდა შეეწყოს ხელი, თუმცა ამასობაში მოსკოვმა თავი ჩინეთის უმცროსი პარტნიორის როლში აღმოაჩინა. დასავლეთის ჩინეთთან ურთიერთობების გაუარესება და პეკინთან ამერიკის „ახალი ცივი ომი“ რუსეთს ადრე თუ გვიან რთული არჩევანის წინაშე დააყენებს. ეს არ ნიშნავს რომ მოსკოვი ჩინეთთან წინააღმდეგობაში მხარს შეერთებულ შტატებს დაუჭერს, მაგრამ რუსულ ელიტას, რომელიც დასავლეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ცდილობს, ჩინეთთან პარტნიორობის გადააზრება მოუწევს. ჩინეთთან „მეგობრობაზე“ გახშირებული საუბრების მიუხედავად, მოვლენების ამ სცენარით განვითარების შიში სულ უფრო შესამჩნევია მოსკოვში.⁸ ეს შიში არცთუ უსაფუძვლოა, რუსეთის ჩინეთზე დამოკიდებულებიდან გამოყვანა, შესაძლოა მართლაც გვიანი იყოს.

რუსეთს დასავლეთის ფინანსური და ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენება და ენერგომატარებლების მიმწოდებლის როლის შესრულება სჭირდება. მეორე მხრივ, „სისტემა“ „კოლექტიურ დასავლეთს“ მტრად ეკიდება და მის შეკავებას ცდილობს. უკრაინულმა კრიზისმა კრემლს ამ ორ პლატფორმაზე ერთდროულად თამაში გაურთულა. ალყაში მოქცეული „ციხესიმაგრე რუსეთის“ კონცეფციის შენარჩუნებისთვის საჭირო ნაბიჯები კრემლის დასავლეთთან „დიდი ვაჭრობის“ შესაძლებლობებს ამცირებს.

კიდევ ერთი მახე, დასავლეთის თვალსაზრისიდან, „ხრიკი-22“-ს⁹ ჰგავს: ნებისმიერი გარიგება რომელიც კრემლს გლობალური თამაშის წესების მისი შეხედულებისამებრ ინტერპრეტაციის საშუალებას მისცემს დასავლეთის პრინციპებისა და გლობალური უსაფრთხოების საზიანო იქნება. ამავე დროს, გარიგებაზე უარის თქმამ კრემლს ჩინეთთან ერთად უფრო აგრესიული მოქმედებისკენ შეიძლება უბიძგოს. დღეს ძნელად მოიძებნება ლიბერალური დემოკრატია, რომელიც თავს ბირთვულ სახელმწიფოსთან დაპირისპირებისთვის მზად შეიძლება თვლიდეს.

ამგვარად, კრემლის თვითგადარჩენის ავანტიურების საბოლოო შედეგი ძნელი განსასაზღვრია. ფაქტია, რომ მოსკოვმა საგარეო პოლიტიკით ქვეყნის შიგნით განცდილი წარუმატებლობების კომპენსირება ვერ მოახერხა. პირიქით, საგარეო პოლიტიკის პრობლემები დამატებით ტვირთად იქცა, მაშინ როცა მოსკოვი ეკონომიკურ რეცესიასთან და ცხოვრების დონის გაუარესებასთან გამკლავებას ცდილობს. „სისტემის“ საძირკველში პირველი ბზარები გაჩნდა. შემცირებული რესურსებმა და იმ გარე ძალების წინააღმდეგობამ, რომლებიც რუსეთის გავლენის სფეროების აღიარებაზე უარს აცხადებენ, რუსეთის მიერ შესახელმწიფოს სტატუსის მოპოვების შესაძლებლობები შეამცირა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ტენდენცია, რომელიც რუსეთის მოსახლეობაში ბოლო წლების განმავლობაში გამყარდა: მათთვის მათი ქვეყნის სტატუსი არა სამხედრო ძალასთან და გავლენის სფეროებთან, არამედ ეკონომიკურ კეთილდღეობასთან ასოცირდება. რუსების უმრავლესობას არ სურს „ციხესიმაგრეში“ ცხოვრება და რუსეთს დასავლეთის პარტნიორად მოიაზრებს. „ლევადას ცენტრის“ მონაცემებით რუსეთში გამოკითხულთა 80%-თვის დასავლეთის „რუსეთის მეგობარია“. ევროპასა და შეერთებულ შტატებს „მტრს“ გამოკითხულთა მხოლოდ 3% თვლის.¹⁰ ეს საყურადღებო უნდა იყოს მათთვის, ვინც დასავლეთში რუსებს ლიბერალური ცივილიზაციისადმი მტრულად განწყობილად თვლის.

დესტაბილიზაციის საფრთხის წინაშე კრემლმა სტაბილურობის ძიება დაიწყო. კომუნისტური რეჟიმისგან განსხვავებით „სისტემას“ არ შეუძლია თავი იდეოლოგიის თუ მასშტაბური რეპრესიების საშუალებით გაიტანოს თავი. პოსტ-საბჭოთა პერიოდში სისტემა საკუთარი თავის ლეგიტიმაციას გარანტირებული შედეგის მქონე არჩევნების მეშვეობით ახდენდა. დროთა განმავლობაში არჩევნების გაყალბებამ „სისტემის“ დასუსტება დაიწყო. შეუზღუდავი ვადის მქონე პერსონიფიცირებული ძალაუფლების და არჩევნებს შორის წინააღმდეგობრივი ლოგიკის გადაწყვეტისთვის 2020 წლის ზაფხულში კრემლმა საკონსტიტუციო ცვლილებები გაატარა, რომელთა მიზანი პუტინის „სამუდამო“ პრეზიდენტობის ლეგიტიმაციაა. პრობლემების გადაწყვეტის ნაცვლად თავი ახალმა სირთულემ იჩინა: საკონსტიტუციო შესწორებებმა არჩევნებით ლეგიტიმაციის პრინციპი გააუქმა, თუმცა სანაცვლოდ არაფერი შემოუთავაზებია. „ძაბრის ლოგიკამ“ კიდევ ერთხელ იჩინა თავი!

2020 წელს რუსეთში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენეს, რომ კრემლის მიერ ნანატრი სტატუს-კვო ილუზია შეიძლება ყოფილიყო. საპროტესტო მოძრაობამ და რეპრესიებმა, რომლებიც პრეზიდენტ ლუკაშენკოს

⁸ როგორც ბობო ლო წერს, „კრემლი უფრთხის ჩინეთზე დამოკიდებულების გამზდას, რასაც პეკინის საგარეო პოლიტიკური ამბიციები და რუსეთისა და ჩინეთის ურთიერთობების უთანასწორო ხასიათი ამძაფრებს“. Bobo, Lo, Global Order in the Shadow of the Coronavirus: China, Russia and the West It's time to rethink global governance and its priorities, <https://www.lowyinstitute.org/publications/global-order-shadow-coronavirus-china-russia-and-west>

⁹ იგულისხმება კომუნისტური 1961 წელს გამოცემული რომანი „ხრიკი-22“, რომელიც მასში მოყვანილი ლოგიკური პარადოქსით არის ცნობილი.

¹⁰ <https://www.fontanka.ru/2020/02/18/022/>

მიერ საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებას მოჰყვა, ავტორიტარული ლიდერების მიერ ლეგიტიმაციის არჩევნების გზით მოპოვების სირთულე გამოააშკარავა. არჩევნების შედეგების დაუფარავი გაყალბება ბელარუსის მოქალაქეებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ავტორიტარი ლიდერი, რომელიც არჩევნებს ფარსად აქცევს ადრე თუ გვიან დიქტატორად იქცევა. აღმოჩნდა, რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს შორის ტოტალიტარული რეჟიმის მიღებისთვის მზად ყველა არ ყოფილა.

რუსეთის პერსონიფიცირებული ძალაუფლების სტრუქტურას ბევრი სუსტი წერტილი აღმოაჩნდა. მიუხედავად ამისა, მათ, ვინც „სისტემის“ განადგურებას ელის, იმედგაცრუება ელის. საზოგადოებრივი აზრი კოგნიტიური დისონანსის შთაბეჭდილებას ქმნის. ერთი მხრივ, პუტინისადმი ნდობა მოსახლეობაში შემცირებულია. მეორე მხრივ, გამოკითხულთა 58% პუტინის პრეზიდენტობას დადებითად აფასებს.¹¹ ეს შიზოფრენია ხალხის განწყობისა და დაბნეულობის ამსახველია, არსად ჩანს პოლიტიკური ძალა, რომელიც თავს პუტინის რეჟიმის ალტერნატივად დაიმკვიდრებდა.

ასეა თუ ისე, არაფერი მიუთითებს „სისტემის“ საბჭოთა რეჟიმის მსგავს კატასტროფულ დასასრულს. საგარეუდო სცენარი საზოგადოების ხანგრძლივ და მტკივნეულ გადაგვარებას მოასწავებს, რომელიც მას წინააღმდეგობის უნარის გარეშე დატოვებს.

ეს არ ნიშნავს, რომ პუტინის რეჟიმის დესტაბილიზაცია ან სულაც დამხობა გამორიცხულია. რუსეთში დღეს მიმდინარე პროცესების შედეგებზე საუბარი ნაადრევია. სრულმასშტაბიანი კრიზისის შემთხვევაში შესაძლოა მოწმენი გავხდეთ პროცესების, რომლებიც რუსეთის ოპონენტებისთვისაც კი სავალალო შედეგების მომტანი იქნება.

ალტერნატიული პოლიტიკური ძალების არარსებობის გარდა „სისტემას“ სიცოცხლისუნარიანობას კიდევ რამდენიმე ფაქტორი უნარჩუნებს: სახელმწიფოს დაშლის შიში, დემორალიზებული და დანაწევრებული ოპოზიციისადმი უნდობლობა და სტაბილურობის განცდა, რომელიც ცხოვრების დონის დაცემის მიუხედავად ჯერ კიდევ სახეზეა.

კიდევ უფრო საინტერესო და საყურადღებოა ის საგარეო ფაქტორი, რომელიც „სისტემის“ სტაბილურობის განცდას ქმნის. დემოკრატიის მოდელის პოლიტიკური დასუსტება, ევროპული ნორმატიული პროექტის (ევროკავშირის) კრიზისი და მისაბაძი მაგალითის არარსებობა „სისტემას“ საკუთარი გადაგვარების შედეგებთან თავადვე გამკლავების საშუალებას აძლევს.

სახეზე პარადოქსული სიტუაციაა: დასავლური ცივილიზაცია რუსეთის პერსონიფიცირებული ძალაუფლების სისტემის მკვებაგი აღმოჩნდა. რუსეთის რეალობის გაგების უუნარობა, ინტელექტუალური სიზარმაცე და გულუბრყვილობა, დრომოჭმული მითებისა და აქსიომების, რუსეთისა და რუსების ცვლილების შეუძლებლობის რწმენა – დასავლეთის ანალიტიკური წრეებისთვის დამახასიათებელი ეს თვისებები „სისტემის“ გადარჩენისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის. შინაარსობრივი ხაზი, რომელიც კრემლთან შემრიგებლური პოლიტიკის და „გადატვირთვის“ მომხრეებს ახასიათებს მარტივი და არაერთხელ გამეორებულია: თუ ბირთვული არმაგედონის თავიდან აცილება გვინდა, კრემლის მოთხოვნები უნდა გავითვალისწინოთ და შევეგუოთ ისეთ რუსეთს, როგორსაც ის დღეს წარმოგვიდგენს. პრაგმატისტები ამტკიცებენ, რომ ვლადიმირ პუტინი დღეს რუსებისთვის დამახასიათებელი „ღრმად ფესვგამდგარი ნაციონალისტური ტრადიციების“ ჩარჩოში მოქმედებს. პუტინის ნებისმიერი მემკვიდრე ამ ნაციონალისტური და აგრესიული კურსის გამგრძელებელი იქნება. შესაბამისად, რუსეთს ცვლილება არ უწერია.¹²

ამ არგუმენტის გათვალისწინება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. მართლაც, რუსეთის მიერ დასავლური მსოფლმხედველობისა და პრინციპების გაზიარების უსასრულო ლოდინისა და ფუჭი იმედების შემდეგ, რუსეთი დასავლეთისა და მის ღირებულებათა მიმართ კვლავ კონფრონტაციულ გზას ადგას. აქ ორი კითხვა ჩნდება. პირველი: რატომ იყო წარუმატებელი რუსეთთან დაახლოების ყველა მცდელობა? იქნებ ამაში „კოლექტიური დასავლეთის“ პასუხისმგებლობაცაა. მეორე: თუ რუსეთი უცვლელია, რის საფუძველზე ვამტკიცებთ, რომ დიპლომატია და შემრიგებლობა რუსეთთან მომავალ კონფლიქტებს აგვარიდებს?

დასკვნა, რომლის მიხედვით რუსეთი „ვერასდროს შეიცვლება“ ეწინააღმდეგება რუსულ საზოგადოებაში განწყობების ცვლილებას, რაც დასავლეთთან მეგობრული ურთიერთობის სურვილში და კეთილდღეობის-

¹¹ <https://www.levada.ru/2020/07/29/odobrenie-organov-vlasti-i-doverie-politikam/>
¹² <https://www.politico.com/news/magazine/2020/08/05/open-letter-russia-policy-391434>

კენ სწრაფვაში გამოიხატება. რუსეთში გამოკითხულთა 67%-ს საკუთარ ქვეყანას განვითარებული ეკონომიკით უფრო დადებითად აფასებს, ვიდრე გლობალური გავლენის ცენტრად.¹³ ამ ვითარებაში დასავლეთის მიერ კრემლთან თანამშრომლობის გზების ძიება რუსი მოსახლეობის განწყობას ეწინააღმდეგება, ტრანსფორმაციის პროცესს აფერხებს და რუსული პოლიტიკური კლასის რეტროგრადი ნაწილის სასიკეთოდ მოქმედებს.¹⁴

მკითხველი იკითხავს, რისი შეთავაზება შეიძლება ამის ნაცვლად? დასაწყისისთვის, დასავლეთმა უნდა შეასრულოს ის, რასაც თავად ქადაგებს და კრემლის დაკრულზე აღარ უნდა იცეკვოს. ანალიტიკურმა წრეებმა უნდა გადააფასონ ის მითები, რომლებსაც ჯერ კიდევ ებლაუჭებიან. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მითი მათ შორის, დასავლეთის ილიბერალურ ქვეყნებთან სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების დადებითი ეფექტია რუსეთზე. სინამდვილეში ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება ერთპიროვნული მმართველობის ტრადიციული ფორმის ჩამოყალიბებას ეხმარებოდა. აქ არც ეკონომიკური ურთიერთობების განყვეტა გამოსავალი. მიზანი ისეთი ეკონომიკური თანამშრომლობის მიღწევაა, რომელიც საერთაშორისო კლემპოკრატების ნაცვლად რუსეთში კანონიერებაზე დაფუძნებული წესრიგის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

დასავლეთთან დიალოგი და „დაახლოებისკენ“ მოწოდებები ავტორიტარულ სისტემებს ეხმარება. იქნებ ღირდეს დაფიქრება, რატომ ხდება ასე სანამ პრაგმატისტები მათ საყვარელ გზას დაადგებიან და კვლავ „დაახლოებაზე“ ისაუბრებენ. ახლა „დაახლოების“ დღის წესრიგი განახლებულია: რუსეთთან საერთო „სტრატეგიული ხედვის“ შემუშავების გარდა, პრაგმატისტები მზად არიან „რუსეთისა და დასავლეთის კონფლიქტის“ ორივე მხრიდან „სანდო პიროვნებების“ დახმარების კონფიდენციალური დიალოგით მოგვარებისთვის. მათ, ვინც რუსეთის გაგება და მისი მოქმედების განსაზღვრა ვერ მოახერხა, ახლა მათი მარცხის შედეგების „მოგვარება“ სურს. გარდა ამისა, თუ ვაღიარებთ, რომ რუსეთი და დასავლეთის მიმართ მისი განწყობა ვერასდროს შეიცვლება, რამდენად შესაძლებელი და მიზანშეწონილია „საერთო სტრატეგიულ ხედვაზე“ საუბარი?

და ბოლოს, როდის უნდა აგონ დასავლეთში რუსეთის საკითხზე მომუშავე ანალიტიკოსებმა და მკვლევარებმა პასუხი მათი შეფასებების სიმცდარის გამო? რომელიმე აღიარა დაშვებული შეცდომა? ასეთი საქციელი ძალიან სასარგებლო იქნება ანალიტიკური წრეების რეპუტაციის აღსადგენად.

რუსეთში მიმდინარე ცვლილებებისთვის ალღოს აღების უნარობა როგორც რუსეთის, ისე დასავლეთის პოლიტიკური და ანალიტიკური წრეების დამახასიათებელია. ეს პრობლემების მიჩქმალვის ან მათი გადაწყვეტის იმიტაციის გამომწვევია. ეს ხდება უკრაინის კრიზისის შემთხვევაშიც, რომელსაც დიდი გავლენა ექნება ევროპულ უსაფრთხოებაზე, გეოპოლიტიკურ ლანდშაფტზე და დასავლეთსა და ილიბერალურ სამყაროს შორის ცივილიზაციურ შეჯახებაზე. ნუ მოვიტყუებთ თავს, რომ პუტინის წასვლა ან მოსკოვისა და დასავლეთის სხვა რომელიმე საკითხზე თანამშრომლობა უკრაინის პრობლემას მოაგვარებს.

ყოველ შემთხვევაში, უნდა გვესმოდეს, რომ რუსული „სისტემა“ საკუთარი გადარჩენის ბრძოლისთვის მზადაა და კვლავაც ინარჩუნებს ამისთვის საჭირო ძალას, რაშიც მას დასავლეთის ორამროვნება და უნებისყოფობა ეხმარება. ბრძოლა სხვადასხვა ფორმას მიიღებს. დღესდღეობით ყველაზე ეფექტური ფორმა გლობალიზაციის და რუსეთის ელიტების დასავლეთში ინტეგრაციით, დასავლეთის პოლიტიკური, ინტელექტუალური სისუსტეებით და სისტემური კრიზისით სარგებლობაა.

დასავლეთის პოლიტიკის ძველი მეთოდები აღარ მუშაობს. დროა დასავლეთმა გამოიღვიძოს და დაემშვიდობოს „დაახლოების“ ილუზიებს. ეფექტური არც ცივი ომის დროინდელი შეკავებისა და იზოლაციის რეცეპტების გამოყენება იქნება. დღეს ურთიერთდამოკიდებულების განსხვავებულ რეალობაში ვცხოვრობთ. დრომოჭმული მოდელების ამოთხრით, „მითოლოგებმა“ შეიძლება წამიერ გამარჯვებას მიაღწიონ, თუმცა ამაში გაცილებით დიდი ფასის გადახდა მოუწევთ.

ერთი რამ ნათელია: რუსეთის ტრაექტორიის რეალისტურად დანახვა და გააზრება, რაც 21-ე საუკუნის მთავარი ამოცანა შეიძლება იყოს, შეუძლებელი იქნება რუსეთის საკითხზე მომუშავე პოლიტიკური და ინტელექტუალური წრეების საფუძვლიანი თვით-რეფლექსიის გარეშე, როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

¹³ <https://lenta.ru/news/2018/11/06/derjava/>

¹⁴ აქ დავეთანხმები დევიდ კრამერს, რომელიც არგუმენტს „მიღეთ რუსეთი, როგორც არის“ პასუხობს, რომ „ამერიკის უნარი რუსეთში ცვლილებების გამოწვევისთვის უკიდურესად შემლუღელი შეიძლება იყოს, მაგრამ დღევანდელ რუსეთთან შეგუება, რაც რეპრესიების, კლემპოკრატისა და აგრესიის მიღებას ნიშნავს, პუტინს რაიმეს შეცვლის სურვილს ბოლომდე დაუკარგავს.“ David Kramer, No, Now Is Not the Time for Another Russia Reset, <https://www.politico.com/news/magazine/2020/08/11/russia-reset-response-open-letter-393176>

